**ცვლილებები ძალაშია 06.12.2021-დან.**

**ინტერნეტ-გვერდზე** www.procreditbank.ge **განთავსებულ დამატებით სახელშეკრულებო პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:**

## 1. <u>შეიცვალოს დამატებითი სახელშეკრულებო პირობების მუხლი 23[1]-ის 11 და 15 პუნქტები და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:</u>

„11. ბენეფიციარი ვალდებულია მოახდინოს მის მიერ მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სამეურნეო/ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების შესაბამისი ფორმით ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მოთხოვნების შესაბამისად, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შშმ პირების შეუფერხებელი დაშვების და გადაადგილების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას/გაუმჯობესებას. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის, არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის თითოეული შემთხვევაში, ბენეფიციარს სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით და მიეცემა დამატებითი 6 (ექვსი) თვიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად. პირგასამტეხლოს დაკისრება ხდება სააგენტოს მიერ და მის სასარგებლოდ, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სახელმწიფო ხაზინაში.“

„15. პროგრამის ბენეფიციარის სტატუსით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში ბენეფიციარი ვალდებულია სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მიაწოდოს სააგენტოს ფინანსური და სხვა სახის მოთხოვნილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების დარღვევის თითოეულ შემთხვევაში მას სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პირგასამტეხლოს დაკისრება ხდება სააგენტოს მიერ და მის სასარგებლოდ, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სახელმწიფო ხაზინაში, არაუგვიანეს დაკისრებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.“

## 2. <u>დამატებითი სახელშეკრულებო პირობების მუხლი 23[1]-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის 17 და 18 პუნქტები:</u>

„17. ბენეფიციარს დამატებით ევალება შემდეგი სახის მარკეტინგული ვალდებულებების შესრულება: ა) საქმიანობის განხორციელების ადგილას განათავსოს აბრა წარწერით: „პროექტი განხორციელდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით“; ბ) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, სატელევიზიო გამოსვლისას, ვალდებულია მოიხსენიოს სააგენტო მხარდაჭერის თაობაზე; გ) პროექტის გახსნა დაიგეგმოს სააგენტოსთან ერთად (აღნიშნული არ ავალდებულებს სააგენტოს ბენეფიციარის მიერ გახსნის ორგანიზებაში მონაწილეობას); დ) ბენეფიციარის მიერ პროდუქციის ექსპორტის განხორციელების შემთხვევაში, შეატყობინოს სააგენტოს აღნიშნულის თაობაზე; ე) ბენეფიციარის მიერ წარმოებულ პროდუქტზე ასახულ ლოგოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად, განთავსებულ იქნას სააგენტოს ლოგოც (მითითებული სახით):

აწარმოე საქართველოში

ვ) ინგლისური ლოგოს შემთხვევაში გამოყენებულ იქნას სააგენტოს ინგლისური ლოგოს ნიმუში (მითითებული სახით):

ENTERPRISE GEORGIA

ზ) წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მარკეტინგული ვალდებულებების (ერთ-ერთის მაინც) დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარს პირველ ჯერზე ეძლევა გაფრთხილება, ხოლო ხარვეზის მეორედ აღმოჩენის შემთხვევაში ეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.“

„18. ბანკს და ბენეფიციარს შორის შესაძლებელია დამატებით გაფორმდეს დანართ(ებ)ი, სადაც განისაზღვრება ბენეფიციარის სხვადასხვა ვალდებულებები. დანართ(ებ)ი (მასში შეტანილი ცვლილება-დამატებებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს ბანკს და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ბენეფიციარი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს მასში მოცემული ვალდებულებები.“

## 3. <u>დამატებითი სახელშეკრულებო პირობების მუხლი 27³-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის 9 და 10 პუნქტები:</u>

„9. ბენეფიციარს დამატებით ევალება შემდეგი სახის მარკეტინგული ვალდებულებების შესრულება: ა) საქმიანობის განხორციელების ადგილას განათავსოს აბრა წარწერით: „პროექტი განხორციელდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით“; ბ) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, სატელევიზიო გამოსვლისას, ვალდებულია მოიხსენიოს სააგენტო მხარდაჭერის თაობაზე; გ) პროექტის გახსნა დაიგეგმოს სააგენტოსთან ერთად (აღნიშნული არ ავალდებულებს სააგენტოს ბენეფიციარის მიერ გახსნის ორგანიზებაში მონაწილეობას); დ) ბენეფიციარის მიერ პროდუქციის ექსპორტის განხორციელების შემთხვევაში, შეატყობინოს სააგენტოს აღნიშნულის თაობაზე; ე) ბენეფიციარის მიერ წარმოებულ პროდუქტზე ასახულ ლოგოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად, განთავსებულ იქნას სააგენტოს ლოგოც (მითითებული სახით):

ვ) ინგლისური ლოგოს შემთხვევაში გამოყენებულ იქნას სააგენტოს ინგლისური ლოგოს ნიმუში (მითითებული სახით):

ზ) წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მარკეტინგული ვალდებულებების (ერთ-ერთის მაინც) დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარს პირველ ჯერზე ეძლევა გაფრთხილება, ხოლო ხარვეზის მეორედ აღმოჩენის შემთხვევაში ეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.“

„10. ბანკს და ბენეფიციარს შორის შესაძლებელია დამატებით გაფორმდეს დანართ(ებ)ი, სადაც განისაზღვრება ბენეფიციარის სხვადასხვა ვალდებულებები. დანართ(ებ)ი (მასში შეტანილი ცვლილება-დამატებებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს ბანკს და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ბენეფიციარი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს მასში მოცემული ვალდებულებები.“